FROM THE STORY OF THE VILLAGE ILURTKARI IN THE KSANI VALLEY

ქსნის ხეობის სოფელ ილურთკარის ისტორიიდან

DAVID AKHLOURI

Doctor of History Associate Professor of Gori State University,
Gori, Chavchavadze st., №53, 1400, Georgia,
+995568990779, datoakhlouri@gmail.com,
https://orcid.org/0000-0002-1068-4042

Abstract

In this paper, we delve into the history of the village of Ilurtkari nestled in the Ksani valley. Our research begins with pinpointing the exact location of this quaint settlement.

According to local lore and historical records, it is believed that the ancestors of the Iluridze family migrated to the Ksani valley from the village of Ilori in Samtredia. This migration is corroborated by scholarly works penned by esteemed historians such as Sergi Makalatia and Roland Topchishvili, as well as oral accounts passed down through generations within the local community.

Within the territory of Ilurtkari, there were a few Christian churches, among the various churches that once graced the landscape of Ilurtkari, only two churches of saint George have stood the test of the time. One of these churches is situated in the territory of Levanaani, while the other resides in Abramiani. These sacred sites hold special significance for the Iluridze family, who have celebrated the traditional event known as Echefoba in the territory of Levanaani for generations. In addition to Ilurtkari, the Iluridze family also has ties to the village of Metsqeri in the nearby Churti valley.

Here, stands the church of Tsetskhijvari, serving as a communal place of worship for all members of the Iluridze lineage. Our journey into the past of Ilurtkari leads us to uncover fascinating insights from historical records, including accounts documented by German traveler Johan (Anton) Giuldenshtedti. Within these records, we encounter mentions of the village of Ilouri, shedding light on its existence and significance in centuries past. Further examination of the statistical censuses of the Ksani duchy from the XVIII century captures our attention, particularly in relation to the population of Ilurtkari. Remarkably, throughout the village's storied history, it appears that only individuals bearing the surname Iluridze inhabited its lands.

This paper delves into a comprehensive review of various censuses conducted during the XVIII and XIX centuries, providing valuable insights into the demographic and economic landscape of the village. Through these records, we gain a deeper understanding of the patterns of migration that characterized the region, particularly the frequent movement of families from the kingdoms of Kartli and Kakheti. One notable aspect highlighted in our research is the destination of these migrations, with many families ultimately settling in neighboring villages such as Doretkari. It is noteworthy that Doretkari was previously inhabited by Doreuls, who themselves had migrated

from the Ksani valley. Following their departure, Ossettians from the North Caucasus established roots in the area, paving the way for the eventual arrival of the Iluridze family.

The migration of Eliaurs to the village of Vilda makes an important chapter in the ancestral lineage of the Iluridze family. Descendants of the Eliaurs, who settled in Vilda, are recognized as the forebears of the Iluridzes from Metsqeri, where they continued to uphold cherished Christian traditions in their ancestral churches.

Originally Iluridzes are ethnic Georgians, the fact is corroborated by historical records dating back to the XVIII and XIX centuries. In union censuses conducted during this period, inhabitants of Levanaantkari and Metsqeri are identified as Ossetians, while the Iluridzes residing in Abramiantkari are classified as Georgians. R. Topchishvili also contributes to the discourse on this topic , providing valuable insights into the multifaceted identity of the Iluridze family. He asserts that a specific segment of Iluridzes came to be regarded as Ossetians due to their familial ties, particularly their maternal lineage. With an Ossetian mother, they assimilated Ossetian language and cultural practices, contributing to their classification as Ossetians in historical records.

In the Churti valley, where agriculture predominated, Iluridzes primarily engaged in farming and cultivating the land. Today, the majority of Iluridzes reside in Tbilisi, Kaspi, Gori, Akhalgori, Rustavi, Dusheti and Dedoplisrsqaro.

Key words: duchy of Fitskhelauri ;demographical lists; army commander; community of Metsqeri; daily land; churches and abbeys; migration; ruins of villages.

დავით ახლოური,

ისტორიის დოქტორი,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
ქ. გორი, ჭავჭავაძისქ., №53,1400, საქართველო,
+995568990779, datoakhlouri@gmail.com,
https://orcid.org/0000-0002-1068-4042

აბსტრაქტი

ნაშრომში საუბარია ქსნის ხეობის ნასოფლარ ილურთკარზე. საკითხის კვლევისას პირველ რიგში ვახდენთ სოფლის ლოკალიზაციას.

ილურიძეები ქსნის ხეობაში სამტრედიის სოფელ ილორიდან უნდა უყვნენ მოსულები, რაზეც საუბარია ქსნის ხეობის ისტორიის მკვლევარების, მათ შორის სერგი მაკალათიასა და როლანდ თოფჩიშვილის ნაშრომებში. ამას ადასტურებენ სოფლის მკვიდრნიც.

ილურთკარის ტერიტორიაზე რამდენიმე ქრისტიანული ეკლესია და სალოცავი ნიში მდებარეობდა, მათგან ბოლო დრომდე შემორჩა წმინდა გიორგის სახელობის ორი ტაძარი, ერთი ლევანაანის და მეორე აბრამიანის ტერიტორიაზე. ლევანაანში ილურიძეები

ეჭეფობას აღნიშნავდნენ. ჭურთის ხეობის კიდევ ერთი სოფელი, სადაც ილურიძეები ცხოვრობდნენ, მეწყერია. აქ მდებარე ცეცხლიჯვრის ეკლესია გვარის საერთო სალოცავი იყო.

სოფელ ილურთკარის შესახებ ცნობები მოგვეპოვება გერმანელი მოგზაურის იოჰან (ანტონ) გიულდენშტედტის ჩანაწერებში, საყურადღებოა XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ქსნის საერისთავოს სტატისტიკური აღწერილობები, სადაც ილურთკარის მოსახლეობაზეა საუბარი. სოფლის მთელი ისტორიის მანძილზე აქ მხოლოდ ერთი გვარის ხალხი ცხოვრობდა.

ნაშრომში მიმოხილულია XVIII-XX საუკუნეების სხვადასხვა ხასიათის აღწერები, რომელიც საშუალებას გვაძლევს, განვსაზღვროთ სოფელში წლების მანძილზე არსებული დემოგრაფიული და ეკონომიკური ვითარება, გამოკვეთილია მოსახლეობის მიგრაციის მარშუტები, რომელსაც არცთუ იშვიათად ჰქონდა ადგილი. ბოლოს ილურიძეები დამკვიდრდნენ მეზობელ სოფელ დორეთკარში, იგი თავის დროზე ქსნის ხეობიდან გადასახლებულ დორეულებს ეკუთვნოდათ. ხეობიდან დორეულების მიგრაციის შემდეგ იქ ჯერ ჩრდილო კავკასიიდან გადმოსული ოსები დასახლდნენ, შემდეგ კი მათ ილურიძეებიც შეურთდნენ.

მეწყერელი ილურიძეების მემკვიდრედ ითვლებიან სოფელ ვილდაში გადასახლებული ელიაურები, რომლებიც ქრისტიანულ დღესასწაულებს მამაპაპისეულ სალოცავებში აღნიშნავდნენ.

ილურიძეები ეთნიკური ქართველები არიან, რაც მითითებულია XVIII- XIX საუკუნეების აღწერებში. საკავშირო აღწერების დროს კი ლევანაანთკარსა და მეწყერში მცხოვრებთ ეროვნების გრაფაში ოსი უწერიათ, აბრამიანკარის ილურიძეებს კი - ქართველი. ამ საკითხს ეხება რ. თოფჩიშვილი, რომლის დასკვნით, ილურიძეების გარკვეული ნაწილის ოსთა ეთნოსისადმი მიკუთვნებას განსაზღვრავდა ოჯახის ოსი რძლის, დედის როლი, „რომელმაც ამ გვარში შემოიტანა ოსური ენა, ყოფა და რიგი წეს-ჩვეულებები“.

ჭურთის ხეობაში მცხოვრები ილურიძეების ძირითადი საქმიანობა მესაქონლეობა და მეცხოველეობა იყო, მისდევდნენ საკარმიდამო მიწათმოქმედებასაც.

დღეს ილურიძეები ძირითადად ცხოვრობენ თბილისში, კასპში, გორში, ახალგორში, რუსთავში, დუშეთსა და დედოფლისწყაროში.

საკვანძო სიტყვები: ჭურთის ხეობა; ფიცხელაურის სამოურავო; დემოგრაფიული ნუსხებ;, ერისთავის ყმები; მეწყერის საზოგადოება; დღიური მიწა; ეკლესია-მონასტრები; მიგრაცია; ნასოფლარები.

შესავალი

სოფელი ილურთკარი მდებარეობდა ოკუპირებულ ახალგორის მუნიციპალიტეტში, ქსნის მარჯვენა შენაკად ჭურთულას ხეობაში, რომელიც ისტორიულ სოფელ ლარგვისთან ერთვის ქსანს, ამჟამად ნასოფლარია.

ჭურთის ხეობაში საკუთარ სახელთან დაკავშირებული რამდენიმე უბანი იყო, მათ შორის ლევანაანი და აბრამიანი, სწორედ ამ ტერიტორიაზე უნდა მოვახდინოთ სოფელ ილურთკარის ლოკალიზაცია, სადაც ბოლო დრომდე ცხოვრობდნენ ილურიძეები. ვალერიან ითონიშვილის მიხედვით, „ილურიძეებს ადრე უცხოვრიათ ჭურთის ხეობის სოფლებში: მეჭყერში (მეწყერი - დ.ა.), აბრამაანთკარში და ლევანაანთკარში. ამ გვარიდან დორეთკარში პირველი დასახლებულა ლევანაანთკარიდან თავისი ოჯახით მოსული სოსიკა ილურიძე (1894 წელს დაბადებული მთხრობელის - ტარიელ ანდროს ძე ილურიძის პაპა). სოსიკას ოჯახს უცხოვრია ორსართულიან ბანიან სახლში“ (ითონიშვილი, 1974: 74). დორეულების სოფლიდან მიგრაციის შემდეგ დორეთკარი ჯერ ჩრდილო კავკასიიდან გადმოსახლებული ოსების, შემდეგ კი ილურიძეების ახალ სამკვიდროდ იქცა, სოფელი ილურთკარი კი მეოცე საუკუნის 20-იან წლებშიც გვხვდება მოსახლეობის აღწერებში, იმავე საუკუნის 30-იანი წლებიდან ილურთკარის მაგივრად ლევანაანთკარია მოხსენიებული, რაზეც ქვემოთ ვრცლად ვისაუბრებთ. ნ. კეცხოველი (კეცხოველი, 1971: 42) და ვ. სომხიშვილი (სომხიშვილი, 1981: 71) თავიანთ მონოგრაფიებში სწორედ სოფელ ლევანაანს ახსენებენ... რაც შეეხება ილურიძეების ქსნის ხეობაში მიგრაციას, ამის შესახებ, ადგილობრივ ინფორმატორთა მონათხრობზე დაყრდნობით საუბარია ს. მაკალათია ნაშრომში „ქსნის ხეობა“: „ილურიძე გადმოსულა ილორიდან, რომელიც სამტრედიის მახლობელი სოფელია. აქ მათს წინაპარს კაცი შემოჰკდომია. რქმევია ლევანი. იქიდან გამოქცეულა და ამ ხეობაში დასახლებულა, ლევანაანთ უბანში, სადაც დარჩენილია ამ გვარის ორი კომლი (მაკალათია, 1968: 96). თითქმის ანალოგიურ ინფორმაციას გვაწვდის სოფელ დორეთკრის მკვიდრი ქალბატონი მერი ვასილის ასული ილურიძე (დაბ. 1960 წელს): „როგორც მამაჩემისგან ვიცი, ჩვენ ლევანაანში დაბადებული ილურიძეები ვყოფილვართ, ჩვენი წინაპარი ლევანი წამოსულა თუ გამოქცეულა სამტრედიის სოფელ ილორიდან, დასახლებულა ჭურთის ხეობაში და სოფელსაც აქედან მიუღია სახელწოდება“. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ სოფლის სახელწოდება „ლევანაანი“ გაცილებით გვიან ჩნდება, ინფორმატორთა მონათხრობში ბევრი რამ დასაზუსტები მოგვეჩვენება, მაგრამ არც ის გამოვრიცხოთ, რომ ლევანაანთკარიც და აბრამიანთკარიც, როგორც ცალკეული უბნები, ადრიდანვე არსებულიყო ილურთკარის ტერიტორიაზე. აღსანიშნავია ისიც, რომ სოფელი ილორი სამტრედიის სიახლოვეს მდებარეობდა და მოგვიანებით ქალაქს შეუერთდა. ამავე სახელწოდების სოფელი გვხვდება აფხაზეთის ტერიტორიაზე, ოჩამჩირეში, ილორი მდინარის სახელწოდებაა გალის მუნიციპალიტეტში (ორთოგრაფიული ლექსიკონი, 1987: 51). ასევე სოფელი ილურთა მდებარეობს პირიქეთა თუშეთში...

ილურიძეებს იმერეთიდან მოსულებად მიიჩნევს რ. თოფჩიშვილიც, რომელიც გვარსახელ ილურიძეს ორმაგი ფორმანტის (- ურ + - ძე) შემცველად თვლის (თოფჩიშვილი, 1987: 35). ილია მაისურაძე ერთი ფუძიდან მომდინარედ მიიჩნევს ილაურს, ილაშვილს, ილიაიძეს და ილურიძეს (მაისურაძე, 1990: 79). იაკობ ახუაშვილის მიხედვით, გვარი მომდინარეობს საკუთარი სახელიდან ილური (ახუაშვილი, 2005: 443).

ჭურთის ხეობის სოფლების ჩამონათვალში ილურთკარს ახსენებს გერმანელი მოგზაური იოჰან ანტონ გიულდენშტედტი, რომელიც XVIII საუკუნის 70-იანი წლების

დასაწყისში ესტუმრა ქსნის ხეობას (გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, 1962: 275).

მეთოდები

საკითხის კვლევისას ვიყენებთ თანამედროვე ისტორიულ მეცნიერებაში აპრობირებულ მეთოდებს. ვახდენთ ქსნის ხეობის შესახებ არსებული წყაროებისა თუ სხვა ისტორიული მასალის კრიტიკულ გააზრებას, რომლის დროსაც გამოყენებულია შინაარსობრივი ანალიზისა და დაკვირვება-შედარების მეთოდები. ანალიზის მეთოდი საშუალებას გვაძლევს წარმოვაჩინოთ სოფელ ილურთკარში საუკუნეების მანძილზე არსებული ისტორიული, ეკონომიკური, დემოგრაფიული და კულტურული ვითარება. დაკვირვება-შედარების მეთოდი გვეხმარება მოვახდინოთ დემოგრაფიული ნუსხების ერთმანეთთან შედარება და განვსაზღვროთ წლების მიხედვით სოფელში არსებული მოსახლეობის შემადგენლობა. ნაშრომის შეჯამება ხდება კვლევის სისტემური ანალიზით.

შედეგები

ქსნის ხეობის სოფლების ისტორიის კვლევით რამდენიმე წელია დავინტერესდი, სამეცნიერო ხასიათის შრომათა კრებულებში გამოქვეყნდა ჩემი რამდენიმე ათეული სტატია, საკითხის კვლევას მიეძღვნა უკვე გამოცემული ქსნის ხეობის ისტორიის სამტომეული. მიუხედავად ოკუპაციის პირობებში არსებული სიძნელეებისა, ახალგორის მუნიციპალიტეტის სოფლების ტერიტორიების კვლევას მომავალშიც გავაგრძელებ. ჩემთვის, როგორც ქსნის ხეობის მკვიდრისთვის, მშობლიური და ახლობელია იქ არსებული თითოეული სოფელი, შესწავლილი მაქვს მოსახლეობის სოციალური, რელიგიური და ეთნოგრაფიული ყოფა, ეპიგრაფიკული მასალა, ციხე-კოშკები, სალოცავები, რაც გარკვეულ წილად მიადვილებს ჩვენამდე მოღწეული წყაროების გავრცობასა და ფაქტების ახლებურად წარმოჩენას.

ნაშრომში გაანალიზებულია ქსნის ხეობის შესახებ არსებული ისტორიული წყაროები, საერისთავოს სტატისტიკური აღწერილობები, კამერალური და საკავშირო აღწერების მონაცემები, ფოლკლორული მასალა, რომლის საფუძველზეც შესწავლილია სოფელში საუკუნეების მანძილზე არსებული დემოგრაფიული და ეკონომიკური ვითარება, მოძიებულია ცნობები ლევანაანსა და აბრამიანში არსებული ეკლესია-მონასტრებისა და სოფლის მცხოვრებთა რელიგიური და ეთნოგრაფიული ყოფის შესახებ, ნაჩვენებია ილურიძეთა მიგრაციის მარშუტები.

დისკუსია (მსჯელობა)

სოფელ ილურთკარში მცხოვრები ილურიძეები მართლმადიდებელი ქრისტიანები იყვნენ, სოფლის ღირშესანიშნაობებიდან აღსანიშნავია წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიები, რომლებიც ლევანაანსა და აბრამიანში მდებარეობდნენ. საქართველოს ძეგლთა

დაცვის სამმართველოს მიერ 1981-1985 წლებში ახალგორის ტერიტორიაზე ჩატარდა ხუროთმოძღვრული ძეგლების აღრიცხვა-პასპორტიზაცია და ფიქსაცია. ექსპედიციამ სოფელ დორეთკარის აღმოსავლეთით, ადგილ აბრამიანის ტერიტორიაზე დააფიქსირა შუა საუკუნეების წმინდა გიორგის ნაეკლესიარი. მცირე ზომის დარბაზული ეკლესია ადგილობრივი ფლეთილი ქვით ყოფილა აგებული. წყაროს მიხედვით, „გეგმით სწორკუთხა ნაგებობა აღმოსავლეთიდან დასრულებულია ასეთივე სწორკუთხა საკურთხევლით. უკეთესად შემორჩენილ დასავლეთ კედელში ერთი სარკმელი და კარია.

ეკლესიის ირგვლივ სასაფლაოა. შემორჩენილია XIX საუკუნის საფლავის ქვებიც. უფრო ხშირად გვხვდება ილურიძეების ჯვარი“ (დადიანიძე, 2008: 58).

როგორც უკვე აღინიშნა წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია მდებარეობს ნასოფლარ ლევანაანთკარშიც, რომელიც ასევე შუა საუკუნეებით თარიღდება. „ძეგლი გაღმა გადაჰყურებს სოფელ მეწყერს. ნაშენია ადგილობრივი ჯიშის ფლეთილი ქვით. ეკლესიიდან შემორჩენილია სწორკუთხა საკურთხეველი ცენტრში სარკმლით. წყობა დეფორმირებულია და კედლები გარედან გადახსნილია. სამხრეთით იკითხება მინაშენის კარიბჭის კვალი“ (დადიანიძე, 2008: 59).

სოფელ ილურთკარის მოსახლეობის შესახებ პირველი ცნობები გვხვდება 1774 წლის ქსნის საერისთავოს სტატისტიკურ აღწერილობაში, საიდანაც ჩანს, რომ იმ დროისთვის ეს სოფელი გოგია ფიცხელაურის სამოურავო იყო, ცხოვრობდა 15 კომლი, 28 მამრობითი სქესის მოსახლით.

1. ჭურთის ხევს ილურთ კარს ქსნის ერისთავის ყმა (ფიცხელაურის გოგიას სამოურაოთ),

ქ: ილურიძე გიორგის შვილი კომლი ა თავი ბ მოურავი ხაჯარა და ოთარა

აქავ ილურიძე ნიკოლოზის შვილი კომლი ა თავი გ მღვდელი გივი კიკოლა და იოსებ

აქავ ილურიძე ბიბილას შვილი კომლი ა თავი ა გიორგი

აქავ ილურიძე აბრამის შვილი კომლი ა თავი დ ივანე სოსო სიხარული და ოქროპირი

აქავ ილურიძე ქიტის შვილი კომლი ა თავი ა გიორგი

აქავ ილურიძე ბერის შვილი კომლი ა თავი ა ოქროპირი

აქავ ილურიძე გიორგის შვილი კომლი ა თავი ბ გლახა და ალხაზა

აქავ ილურიძე შიოს შვილი კომლი ა თავი ბ ტუსია და ბაცაცა

აქავ ილურიძე შიოს შვილი კომლი ა თავი ბ ლომკაცი და ილური

აქავ ილურიძე გოდერძის შვილი კომლი ა თავი ბ ბიბილა და გოგია

აქავ ილურიძე მანძულას შვილი კომლი ა თავი ბ ივანე და ბეცო

აქავ ილურიძე ხუტის შვილი კომლი ა თავი ბ ლალა და ისე

აქავ ილურიძე ლევანას შვილი კომლი ა თავი ა გაბრიელ

აქავ ილურიძე ჭურთაულის შვილი კომლი ა თავი ა ალხაზა

აქავ ილურიძე გივის ობოლი ბ გივი და ბერი

იქნა მემკვიდრის ჯამი კომლი. იდ. თავი კვ.

იქნა მემკვიდრის ობლის ჯამი. თავი ბ. (თაყაიშვილი, 2022: 682-683, ჯავახიშვილი, 1967: 183-184).

აღწერაში ყურადღებას იქცევს რამდენიმე ფაქტი. პირველ რიგში, მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ნახსენებია როგორც ლევანი, ისე აბრამი. უნდა მივიჩნიოთ თუ არა ისინი ლევანანთკარსა და აბრამიანთკარში მცხოვრებთა წინაპრებად, ამის დაბეჯითებით თქმა რთულია, თუმცა ჩვენი ინფორმატორის, ლევანაანთკარში მცხოვრები ილურიძეების შთამომავლის, ქალბატონ მერი ილურიძის მონათხრობს ავსებს, რაც უკავშირდება წინაპართა გადმოცემას, რომ მათი შტოს პირველი წინაპრები ლევანი და მისი ვაჟი გაბრიელი იყვნენ... აღწერაში ვხვდებით ასევე საკუთარი სახელებს ილური, ჭურთაული... ხაჯარა ილურიძე მოხსენიებულია მოურავად. ზოგადად, სოფელი გოგია ფიცხელაურის სამოურავოა, ხაჯარა უნდა ყოფილიყო მისი ხელქვეითი, ადგილობრივი მოხელე, სოფლის საქმეების წარმართველი. ილურიძეთა გვარიდან ყოფილა სასულიერო პირი, მღვდელი გივი ილურიძე.

მომდევნო 1783 წლის (ე. თაყაიშვილის დათარიღებით) აღწერაში კომლები მოხსენიებულია როგორც გვარებით, ისე მამიშვილობით, თუმცა, XIX საუკუნის კამერალური აღწერებიდან ჩანს, რომ მამიშვილობა გვარად არ ქცეულა...

ჭურთის ხევს ილურთ კარიდამ

ქ. შათირის შვილი კომლი ა თავი ა პატარა

ა ქავ ილურიძე კომლი ა თავი ა ლალა

0 აქავ ილურიძე კომლი ა თავი ა ქიტესა

0 აქავ ილურიძე მანძულას შვილი ა თავი ბ ივანე და ბაცაცა კომლი

0 აქავ ვარდაშას შვილი კომლი ა თავი ა ბიბილური

აქავ ილურიძე კომლი ა თავი გ ხუტია (ტუხია - დ.ა.) ბაცაცა და გოგია

0 აქავ ილურიძე კომლი ა თავი ბ ოქროპირი და ივანე

აქავ ილურიძე კომლი ა თავი ბ ალხაზა და გლახა

აქავ ილურიძე კომლი ა თავი ბ ხარაჯა და ოთარა

0 აქავ ილურიძე კომლი ა თავი ბ იესე და ნიკოლაოზ

0 აქავ ილურიძე აბრამის შვილი ა თავი ბ ივანე ოქროპირი კომლი

აქავ ილურიძე კომლი ა თავი ა სოსო

აქავ ბიბილას შვილი კომლი ა თავი ბ გიორგი და ბერი

აქავ ქიტის შვილი კომლი ა თავი ა გიორგი

აქავ ნიკოლოზის შვილი კომლი ა თავი ა ივანე

0 აქავ ილურიძე კომლი ა თავი შეუძლებელი კოჭლი ივანე

იქნა ჯამი მემკვიდრისა კომლი. ივ. თავი. კ˜დ: (თაყაიშვილი, 2022: 645-646; ჯავახიშვილი, 1967: 205-206). აღწერის შემაჯამებელი მინაწერის მიხედვით, კომლების რაოდენობა 16-ია, 24 მამრობითი სქესის მოსახლით, თუმცა, რეალურად 25 მამრობითი სქესის წარმომადგენელია, როგორც ე. თაყაიშვილის თხზულებათა მეთორმეტე ტომის სქოლიოშიცაა მითითებული, ალბათ „შეუძლებელ ივანეს“ არ თვლიან. თვითონ მინიშნება - „შეუძლებელთან“ დაკავშირებით საინტერესოა ექვთიმეს დასკვნა: „თავისთავად ცხადია, რომ ჩვენს გრაგნილებზე ჩამოწერილი სიები არ წარმოადგენს მოსახლეობის სრულ აღწერილობას, იმ დროს მიღებული, „დასტულამალში“ აღნიშნული წესის თანახმად, წერდნენ მხოლოდ მათ, ვინც ჯარში გამოსაყვანად ან საბეგროდ იყო მიჩნეული და, ამრიგად, სრულიად უგულებელყოფდნენ ქალებსა და ბავშვებს. თუ „ობლები“ ჰყავთ აღრიცხული, ისიც იმიტომ, რომ გათვალისწინებულია მათი ვარგისობა ჯარში გასაწვევად და დასაბეგრად, სრულწლოვანების შემდეგ, სიებში აქა-იქ „შეუძლებელი“ ანუ „უძლური“, ე.ი. ჯარისკაცად უვარგისი პირებიც იხსენიება (თაყაიშვილი, 2022: 643).

თუ დავაკვირდებით, ილურიძეების გვარში ხშირია საკუთარი სახელი ბიბილა, ბიბილური, რამაც შეიძლება ზოგიერთს ბიბილურებისა და ილურიძეების საერთო წარმომავლობაზე აფიქრებინოს, თუმცა ჩვენს ხელთ არსებული ცნობებით, ფოლკლორული მასალით ამაზე საუბარი რთულია...

1783 წლის კიდევ ერთ აღწერაში, ილურთკარი მოხსენიებულია როგორც „დორეულის ბერის სახელო.“ თანადროულ მეორე აღწერისგან განსხვავებით, მხოლოდ რიგითობაა შეცვლილი, ამასთან დაკონკრეტებულია, რომ 2 კომლი: ილურიძე აბრამის შვილები ივანე, ოქროპირი და ილურიძე სოსო ცხოვრობენ მეჯვრისხევში (ჯავახიშვილი, 1967: 228). ჩანს, ამ დროს უკვე დაწყებულია ილურთკარიდან გორის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის მიგრაცია, თუმცა გასათვალისწინებელია, ისიც, რომ მეჯვრისხევი ქსნის ერისთავებს ეკუთვნოდათ და საერისთავოში შიდა მიგრაცია ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

როგორც ცნობილია, 1773 წლის მიწურულს ერეკლე მეორემ მოიწვია დარბაზის სხდომა, სადაც იმსჯელეს ისეთი ჯარის შექმნაზე, რომელიც ქართლ-კახეთში ლეკების ქურდულ თავდასხმებს აღკვეთავდა და ქართველ გლეხკაცს მშვიდობიანი ცხოვრების საშუალებას მისცემდა. დარბაზის მიერ შემუშავებული „მორიგე ლაშქრის განაჩენის“ მიხედვით, „ლაშქრობის შემძლე ყოველ მამაკაცს დაევალა რიგ-რიგობით, წელიწადში

თითო თვით გასულიყო ლაშქარში.“ ილურთკარიდან ასეთ „ლაშქრობის შემძლე“ რჩეულ მეომრებად გამწესებულნი იყვნენ მოურავი „ილურიძე გიორგისშვილი ხაჯარა და ილურიძე გუხია (ტუხია - დ.ა.)“ (კლიმიაშვილი, 2022: 212).

იოანე ბაგრატიონის ქართლ-კახეთის აღწერაში, რომელიც 1794-1799 წლებში ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის დავალებით შესრულდა, ჭურთის ხევის სოფლები მეფის ძის იოანეს სააზნაურო მამულების რიგშია. ცალკეა მითითებული „ჭურთას ოსის სოფელი“ (იგულისხმება ოსებით დასახლებული ქართული სოფლები) და ცალკე „ჭურთას ქართველის სოფელი 2, მოსახლენი“ (იოანე ბაგრატიონი, 1986: 37). ქართველებით დასახლებულ სოფლებში უნდა მოვიაზროთ ილურთკარი.

1803 წლით დათარიღებულ იოანე ბატონიშვილის საუფლისწულო აღწერის შეჯამებითი ცნობებით ილურთკარში 7 კომლი ცხოვრობდა, 20 მამრობითი სქესის და 17 მდედრობითი (სულ 37 სული). მომდევნო 1804 წელს ჩატარებული პირველი რუსული კამერალური აღწერის მიხედვით, კომლების რაოდენობა 8-მდეა გაზრდილი, ტრადიციულად, ცხოვრობენ მხოლოდ ეთნიკურად ქართველი ილურიძეები. გვარს ბოლოში დამატებული აქვს „შვილი“ - ილურიძე შვილი:

1) გაბრიელ ილურაძე (ილურიძე) შვილი, 1 კომლი, 4 მამაკაცი, 2 ქალი, აქვს 14 დღის სახნავი მიწა, 16 დღის სახნავად გამოუყენებელი (სათიბი), 60 თივა. გადასახადის სახით იხდის 1 ძროხას, 2 ცხვარსა და 1 ბატკანს, სულ 7 მანეთი და 80 კაპიკი.

2) ხელფეხა შვილი ილურიძე, 1 კომლი, 3 მამაკაცი, 2 ქალი, აქვს 22 დღის სახნავი მიწა, 27 დღის სახნავად გამოუყენებელი, 105 თივა, გადახდილი აქვს ასევე 7 მანეთი და 80 კაპიკი.

3) ბერი ილურიძე შვილი, 1 კომლი, 2 მამაკაცი, 4 ქალი, აქვს 15 დღის სახნავი მიწა, 10 დღის სახნავად გამოუყენებელი, 20 თივა, გადასახადის სახით იხდის 1 წლის ცხვარს, შიშაქს, -როგორც მთაში ეძახდნენ. სულხან-საბას მიხედვით „შიშაგი“ (სულხან-საბა ორბელიანი 1993, 303), სულ გადახდილი აქვს 1 მანეთი.

4) გივა (გივი - დ. ა.) ილურიძე შვილი, 1 კომლი, 2 მამაკაცი, 2 ქალი, აქვს ნახევარი დღის სახნავი მიწა, 3 დღის სახნავად გამოუყენებელი, 1 თივა, გადასახადის სახით იხდის 1 ცხვარს, სულ: 1 მანეთი.

5) ნიკოლა ილურიძე შვილი, 1 კომლი, 2 მამაკაცი, 1 ქალი, გადახდილი აქვს ასევე 1 მანეთი.

6) სოლომონ ილურიძე შვილი, 1 კომლი, 2 მამაკაცი, 2 ქალი, აქვს 5 დღის სახნავი მიწა, 6 დღის სახნავად გამოუყენებელი, 5 თივა, გადასახადის სახით იხდის 1 ცხვარს, სულ: 1 მანეთი.

7) ლილუია ილურიძე შვილი, 1 კომლი, 4 მამაკაცი, 2 ქალი, აქვს 6 დღის სახნავი მიწა, 7 დღის სახნავად გამოუყენებელი, 15 თივა, გადასახადის სახით იხდის 1 ცხვარს, სულ: 1 მანეთი.

8) გულბაათ ილურიძე შვილი, 1 კომლი, 7 მამაკაცი, 6 ქალი, აქვს 10 დღის სახნავი მიწა, 12 დღის სახნავად გამოუყენებელი, 30 თივა, გადახდილი აქვს ასევე 1 მანეთი.

სულ ილურთკარში უცხოვრია 26 მამაკაცს და 21 ქალს (46 სული), მათ მფლობელობაშია 73 დღის სახნავი მიწა (დღიური ფართობის საზომი ერთეული იყო აღმოსავლეთ საქართველოში, იგულისხმობდა მიწის რაოდენობა, რომელსაც გუთნეული ერთ დღეში მოხნავდა. XIX საუკუნეში დღიური მიწა დაახლოებით 0,39-0,5 ჰა უდრიდა (ჯაფარიძე, 1978: 663), 84 დღის სახნავად გამოუყენებელი, 237 თივა, გადახდილი აქვთ 21 მანეთი და 60 კაპიკი. გადასახადებს იხდიან მიწათმოქმედებითა და საშუამავლო მესაქონლეობით (გსიემ, 1956: 102).

როგორც ვხედავთ, XIX საუკუნის დასაწყისში, ილურთკარში არც ბიბილაშვილები, არც ქიტიაშვილები, არც ნიკოლოზიშვილები და არც სხვა გვარები ჩანან. მამიშვილობა გვარად რომ ქცეულიყო, რომელიმე მათგანიდან ერთი ოჯახი მაინც შემორჩებოდა მშობლიურ სოფელს.

თუ XVIII საუკუნის მეორე ნახევრისა და XIX საუკუნის დასაწყისის აღწერებს შევადარებთ, 1774 წელს ილურთკარში 15 ოჯახს უცხოვრია, 25 მამრობითი სქესის წარმომადგენლით, 1781 წელს - 16 ოჯახს (მამაკაცთა რაოდენობა უცვლელია). 1804 წლისთვის კომლების რაოდენობა შემცირებულია, მაგრამ მამრობითი სქესის წარმომადგენელთა რაოდენობა თითქმის იგივეა (26 კაცი).

1814 წლის აღწერით ილურთკარში მამულები და მათზე მცხოვრები ყმები ეკუთვნოდათ თავადებს: დავით, მიხეილ, მირმანოზ, სოლომონ, შალვა, ელიზბარ და ლუარსაბ ერისთავებს. წყაროში გვარი მითითებულია როგორც ილიურიძე.

დავით, მიხეილ, მირმანოზ და სოლომონ ერისთავების ყმები:

1. ნაცვალი გაბრიელ ილურიძე - 1 კომლი, 4 მამაკაცი, 2 ქალი. აქვს 15 დღიური მიწა.

2. ხელფეხი ილურიძე - 1 კომლი, 5 მამაკაცი, 3 ქალი. აქვს 8 დღიური მიწა.

3. გივი ილურიძე - 1 კომლი, 5 მამაკაცი, 3 ქალი. აქვს 8 დღიური მიწა.

4. კიკოლა ილურიძე - 1 კომლი, 4 მამაკაცი, 2 ქალი. აქვს 8 დღიური მიწა.

5. აბრამ ილურიძე - 1 კომლი, 1 მამაკაცი, 2 ქალი. აქვს 6 დღიური მიწა.

6. ბერი ილურიძე - 1 კომლი, 2 მამაკაცი, 2 ქალი. მიწა არა აქვს.

7. ბერი ილურიძე - 1 კომლი, 7 მამაკაცი, 4 ქალი. აქვს 9 დღიური მიწა.

სულ: 7 კომლი, 28 მამრობითი სქესის, 18 მდედრობითი (სულ: 46 სული). მათ მფლობელობაშია 54 დღის სახნავი მიწა.

თავადების შალვა, ელიზბარ და ლუარსაბ ერისთავების ყმები:

1. მოურავი გულბათ (გულბაათ) ილურიძე - 1 კომლი, 5 მამაკაცი, 4 ქალი. აქვს 15 დღიური მიწა.

2. ლეკვი ილურიძე - 1 კომლი, 6 მამაკაცი, 2 ქალი, აქვს 4 დღიური მიწა.

2 კომლი, 11 მამრობითი სქესის, 6 მდედრობითი (სულ: 17 სული). მათ მფლობელობაშია 19 დღის სახნავი მიწა (სეასცა, ფ. 254, ან. 1, საქმე 367, ფურცელი 127).

სულ სოფელ ილურთკარში უცხოვრია 9 კომლს, 39 მამაკაცსა და 24 ქალს (63 სული), აქვთ 73 დღის სახნავი მიწა.

აღწერაში ვხვდებით ნაცვალისა და მოურავის სახელოებს. ნაცვალი გაბრიელ ილურიძეა, მოურავი - გულბაათ ილურიძე. მოურავის სახელოზე უკვე ვისაუბრეთ, ნაცვალი გვიანდელ ფეოდალურ საქართველოში ადმინისტრაციულ-საპოლიციო მოხელე იყო. იგი შეიძლება ყოფილიყო როგორც საერო, ისე სასულიერო ხელისუფალთა წარმომადგენელი. იყვნენ როგორც სოფლის, ისე ქალაქის ნაცვლები.

1821 წელს ჩატარებული აღწერისას, ანანურის მაზრაში შემავალი სოფელი ილურთკარი ეკუთვნოდათ მებატონეებს: პოდპოლკოვნიკ თავად მიხეილ ერისთავს, მირმანოზ, სოლომონ, დავით, შალვა ერისთავებს. ილურიძეების სოფელში მცხოვრებთა რაოდენობა, 1814 წლის აღწერასთან შედარებით 9-დან 6-მდეა შემცირებული.

პოდპოლკოვნიკ თავად მიხეილ ერისთავისა და მირმანოზ, სოლომონ და დავით ერისთავების მიწაზე მცხოვრები ყმები:

კომლი 1. გაბრიელ ლევანის ძე ილურიძე, მისი მეუღლე (აღწერაში მდედრობითი სქესის წარმომადგენელთა სახელები მითითებული არ არის).

შვილები: 1. გიორგი გაბრიელის ძე, მისი მეუღლე, ვაჟი ივანე, ქალიშვილი.

2. დავით გაბრიელის ძე.

სულ ოჯახში 7 სულია, 4 მამრობითი და 3 მდედრობითი სქესის, ქართველები.

კომლი 2. გლახა ხელფეხის ძე ილურიძე,

გლახას ძმიშვილი გოგია ნიკოლოზის ძე, მისი მეუღლე, ვაჟები: გაბრიელ, ნინია და ისაი. ქალიშვილი.

სულ ოჯახში 7 სულია, 5 მამრობითი და 2 მდედრობითი სქესის, ქართველები.

კომლი 3. გივი ნიკოლოზის ძე ილურიძე, მისი მეუღლე,

ვაჟები: 1. გიორგი გივის ძე, მისი მეუღლე.

2. სოსია.

3. ნინიკა.

ქალიშვილი.

სულ ოჯახში 7 სულია, 4 მამრობითი და 3 მდედრობითი სქესის, ქართველები.

კომლი 4. ნიკალა ნიკოლოზის ძე ილურიძე, მისი მეუღლე,

ვაჟები: 1. გიგოლა ნიკალას ძე, მისი მეუღლე.

2. ბეროა.

3. ნინიკა.

ქალიშვილი.

სულ ოჯახში 7 სულია, 4 მამრობითი და 3 მდედრობითი სქესის, ქართველები.

კომლი 5. შიო სოლომონის ძე ილურიძე.

სულ ოჯახში 1 სულია, მამრობითი სქესის, ქართველი.

სულ მიხეილ ერისთავის მიწაზე ცხოვრობს: 5 კომლი, 18 მამრობითი სქესის და 11 მდედრობითი (29 სული).

თავად შალვა ერისთავის მიწაზე მცხოვრები ყმები:

კომლი 1 (6). გულბაათ ალხაზის ძე ილურიძე, მისი მეუღლე, ვაჟი გოგია,

ძმა გიორგი ალხაზის ძე, მისი მეუღლე, ქალიშვილი, დედა.

სულ ოჯახში 7 სულია, 3 მამრობითი და 4 მდედრობითი სქესის, ქართველები.

სულ სოფელ ილურთკარში: 6 კომლი, 21 მამრობითი სქესის და 15 მდედრობითი (36 სული), ქართველები (სეასცა, ფ. №254, ან. №1 საქმე №689, ფურ. 127). როგორც ვხედავთ, წინა წლებთან შედარებით, მკვეთრადაა შემცირებული მოსახლეობა, თუ 1814 წელს სოფელში 39 მამაკაცი აღირიცხებოდა, 7 წლის მერე - 21 მამაკაცია, 1814 წელს სოფელში ცხოვრობდა 24 ქალი, 1821 წელს - 15, რაც მთის სოფლიდან ბარში მიგრაციაზე უნდა მიგვანიშნებდეს.

1831 წლის აღწერაში როგორც მამრობითი, ისე მდედრობითი სქესის მცხოვრებნი სახელებით არიან მოხსენიებულნი, მითითებულია მათი ასაკიც:

სოფელი ილურთკარი.

ადრინდელი მებატონის დავით ერისთავის ოჯახის წევრების, პროპორჩიკ როსტომ, გიორგი, ოქროპირ, შალვა ერისთავების ყმები:

კომლი 1. გაბრიელ ლევანის ძე ილურიძე - 136 წლის, გარდაცვლილი, მისი მეუღლე თამარი - 69 წლის, მათი შვილები: გიორგი - 54 წლის, გარდაცვლილი, დავითი 15 წლის (დავითის ასაკი მშობლებისა და ძმის ასაკის ფონზე, დასაფიქრებელია...).

გიორგის მეუღლე მაია - 36 წლის, მათი ვაჟები: ივანე - 14 წლის, გაბრიელ - 2 წლის. მათი ქალიშვილები: მაია - 12 წლის, მელანია - 5 წლის, ელიზავეტ - 3 წლის.

სულ ოჯახში 10 სულია, 5 მამრობითი და 5 მდედრობითი სქესის, ქართველები.

კომლი 2. გოგია ნიკოლოზის ძე ილურიძე - 60 წლის, მისი მეუღლე ხორეშანი - 50 წლის, მათი ვაჟები: გაბრიელ - 25 წლის, ნინია - 19 წლის, უცოლო, ისაია - 15 წლის, უცოლო.

გაბრიელის მეუღლე თინათინ - 20 წლის, მათი ქალიშვილი ვარვარა - 1 წლის.

სულ ოჯახში 7 სულია, 4 მამრობითი და 3 მდედრობითი სქესის, ქართველები.

კომლი 3. ნიკოლოზ ილურიძის ქვრივი მაია - 40 წლის, მისი ვაჟები: ბერუა - 25 წლის, ნინია - 15 წლის, სოსია - 9 წლის. ქალიშვილი ნენე - 5 წლის.

ბერუას მეუღლე ნენე - 20 წლის, მათი ვაჟი გიორგი - 1 წლის.

სულ ოჯახში 7 სულია, 4 მამრობითი და 3 მდედრობითი სქესის, ქართველები.

შემდგომში კომლი გადახაზულია.

მირმანოზ ერისთავის ვაჟების, პროპორჩიკ ესტატე და კონა ერისთავების ყმები:

კომლი 1. გიორგი გივის ძე ილურიძე - 40 წლის, მისი მეუღლე მაია - 30 წლის. მათი ვაჟები: ალექსი - 7 წლის, დავით - 5 წლის, გიორგი - 3 წლის. ქალიშვილები: სალომე - 4 წლის, ნინო - 2 წლის, ეფროსინე - 1 წლის.

გიორგის ძმები: სოსია - 25 წლის, ნინია - 15 წლის, მოსე - 9 წლის.

სოსიას მეუღლე ელიზავეტ – 15 წლის.

სულ ოჯახში 12 სულია, 7 მამრობითი და 5 მდედრობითი სქესის, ქართველები.

კომლი 2. ნიკოლოზ იასეს ძე ილურიძე - 45 წლის, მისი მეუღლე თინათინი - 30 წლის. მათი ვაჟები: შალვა - 14 წლის, აბრამ - 6 წლის, როსტომ - 1 წლის, ტეტია - ½ წლის. ქალიშვილი მელანია - 5 წლის.

ნიკოლოზის ძმა გაბრიელ - 40 წლის, მისი მეუღლე ხორეშანი - 20 წლის, ქალიშვილი ქეთევანი - 10 თვის.

სულ ოჯახში 10 სულია, 6 მამრობითი და 4 მდედრობითი სქესის, ქართველები.

თავადების შალვა, ბიძინა და გიორგი ერისთავების ყმები:

კომლი 1. ნინია თევდორეს ძე ილურიძე - 40 წლის, გარდაცვლილი, მისი მეუღლე თამარი - 30 წლის, ვაჟები: თევდორე - 6 წლის, გარდაცვლილი, ქიტესა - 3 წლის, გარდაცვლილი.

ნინიას ძმა გიგოლა - 30 წლის, გარდაცვლილი, მისი მეუღლე ელენე - 20 წლის, მათი ვაჟი ბერი - 1 ½ წლის.

სულ ოჯახში 7 სულია, 5 მამრობითი და 2 მდედრობითი სქესის, ქართველები.

სულ სოფელში ცხოვრობს 6 კომლი (მითვლილი არაა ნიკოლოზ ილურიძის ქვრივის მაიას ოჯახი), 31 მამრობითი სქესის და 22 მდედრობითი სქესის (53 სული) (სეასცა, ფ. 254, ან. 1, საქმე 1247, ფურ. 15-17).

XIX საუკუნის 60-იან წლებში, ილურთკარი გორის მაზრის ქსნის ნაწილში შედიოდა. ყმები და მამულები ეკუთვნოდათ მებატონეებს ესტატე და ალექსანდრე ერისთავებს, კნეინა მარიამ ჭავჭავაძეს. წყაროში მოხსენიებულნი არიან მხოლოდ მამრობითი სქესის წარმომადგენლები.

თავად ესტატე ივანეს ძე ერისთავის საბატონო მამულზედ მცხოვრები ყმები:

კომლი 1. გიგოლა გივის ძე ილურიძე - 55 წლის, მისი შვილები: ცატიკო - 32 წლის, გიორგი - 30 წლის.

შვილი გიორგისი ლექსა - 4 წლის, ახალშობილი (ახალშობილში იგულისხმებიან წინა კამერალური აღწერის შემდეგ დაბადებული).

რიცხვი დედაკაცთა - 2.

კომლი - 1. მამრნი - 4. მდედრნი - 2.

დადასტურებულია ესტატე ერისთავის მიერ.

თავად შალვა ერისთავის ასულის, კნეინა მარიამ ჭავჭავაძის საბატონო მამულზე მცხოვრები ყმები:

კომლი 1 (2). დავით ჯივრიელას (გაბრიელის - დ. ა.) ძე ილურიძე - 40 წლის, მისი შვილები: ლევან - 16 წლის, ახალშობილი, აბრამ - 10 წლის, ახალშობილი, მატვეი - 8 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 3.

კომლი 2. (3) ნინიკა გიგოს ძე ილურიძე - 40 წლის, მისი შვილები: მალხაზ - 17 წლის, გიორგი - 10 წლის, ახალშობილი, მათე - 6 წლის, ახალშობილი, ანდრო - 4 წლის, ახალშობილი.

ძმისწულნი ნინიკასი, გაბრიელის ძენი: სოლომონ - 30 წლის, ნიკალა - 25 წლის.

რიცხვი დედაკაცთა - 2.

კომლი 3 (4). ისაია გოგიას ძე ილურიძე - 40 წლის, მისი შვილები: შიო - 7 წლის, ახალშობილი, მოსე - 5 წლის, ახალშობილი, ალექსა - 2 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 2.

კომლი - 3. მამრნი - 15. მდედრნი - 7.

დადასტურებულია ჭურთის ხეობის ნაცვლის დავით ილურიძისა და აღმორჩეული კაცების ნინიკა და დავით ილურიძეების მიერ, რადგან ამათ წერა არ იცოდნენ, ამათი თხოვნით და ხელის ჩამორთმევით ხელს აწერს ისაკ დურგლიოვი (დურგლიშვილი).

თავად ალექსანდრე ერისთავის საბატონო მამულზედ მცხოვრები ყმები:

კომლი 1 (5). გაბრიელ გიორგის ძე ილურიძე - 40 წლის, მისი შვილი ივანე - 2 წლის, ახალშობილი.

ძმა გაბრიელისა გიორგი - 22 წლის, გაშვებული იყო.

ძმისწულები გაბრიელისა, ივანეს ძენი: სიმონ - 14 წლის, ზაქარა - 12 წლის, მოსე - 9 წლის, დავით - 6 წლის.

რიცხვი დედაკაცთა - 5.

კომლი - 1. მამრნი - 7. მდედრნი - 5.

დადასტურებულია ჭურთის ხეობის ნაცვლის დავით ილურიძისა და აღმორჩეული კაცების ნინიკა და დავით ილურიძეების მიერ, რადგან ამათ წერა არ იცოდნენ, ამათი თხოვნით და ხელის ჩამორთმევით ხელს აწერს ისაკ დურგლიოვი (დურგლიშვილი).

სულ სოფელ ილურთკარში ცხოვრობს 5 კომლი, მამრნი - 26. მდედრნი - 14. ქართველები, მართლმადიდებელი სარწმუნოების. (სეასცა, ფ. 254, ან. 2, საქმე 255, ფურ. 366-371).

როგორც ვ. ითონიშვილი წერდა, ილურიძეებიდან „დორეთკარში პირველი დასახლებულა ლევანაანთკარიდან თავისი ოჯახით მოსული სოსიკა ილურიძე (1894 წელს დაბადებული მთხრობელის - ტარიელ ანდროს ძე ილურიძის პაპა).“ რაც დასტურდება 1860 წლის აღწერით. დორეთკრის მცხოვრებთა შორის ილურიძეების ერთი კომლია, სოსიკა გიორგის ძე ილურიძის, რომელიც იმ დროისთვის 30 წლის ყოფილა, ჰყავდა ვაჟები: მოსე - 5 წლის, გიორგი - 3 წლის, პავლე - 1 წლის. მათთან ერთად ცხოვრობდა სოსიკას ძმა თევდორე - 25 წლის. ოჯახში 2 ქალიც აღირიცხებოდა, სულ: 7 სული (სეასცა, ფ. 254, ან. 2, საქმე 255, ფურ. 138-143). სოსიკას შვილებს შორის იმ დროისთვის ანდრო ნახსენები არაა. ანდრო პავლეს მომდევნო ძმა იყო, დაბადებული 1864 წელს და ნახსენებია 1873 წლის აღწერაში. სოსიკას ანდროს მერე კიდევ შესძენია ორი ვაჟი დიმიტრი, რომელიც 1873 წელს 1 წლის იყო (სეასცა, ფ. 254 ან. 2, საქმე 230, ფურ. 96-101) და სერგო, რომელიც 1886 წელს - 8 წლის ყოფილა (სეასცა, ფ. 254, ან. 3, საქმე 1799, ფურ. 14-21).

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ილურიძეების ერთი შტო ახალგორის სიახლოვეს, სოფელ ზემო ბოლში, იგივე გათენაანთკარში დასახლებულა. 1860 წლის აღწერის

მონაცემებით, თავად კონა მირიმანანოზის ძე ერისთავის მამულში დამკვიდრებულან ძმები: მოსე, ნინიკა და სოსიკა ილურიძეები:

ქსნის ნაწილის სოფელს გათენაანთკარს

თ˜ა კონა მირიმანოზის ძის ყმანი ამისივე მამულზედ მცხოვრებნი

კომლი 1. მოსე გივის ძე ილურიძე - 41 წლის

(გადმოსახლდა სოფელ ილურთკარიდან 1851 წელს, №3).

მისი შვილები: ვარდანა - 12 წლის, ახალშობილი, მათე - 9 წლის, ახალშობილი, მიხაკა - 7 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 1.

კომლი 2. ნინიკა გივის ძე ილურიძე - 35 წლის

(გადმოსახლდა სოფელ ილურთკარიდან 1851 წელს, №3).

მისი შვილები: გაბო - 16 წლის, ახალშობილი, გივი - 8 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 1.

კომლი 3. სოსიკა გივის ძე ილურიძე - 48 წლის

(გადმოსახლდა სოფელ ილურთკარიდან 1851 წელს, №3).

მისი შვილი გიორგი - 28 წლის, გაშვებული იყო.

გიორგის შვილები: გიგო - 5 წლის, ახალშობილი, ივანე - 2 წლის, ახალშობილი.

კიდევ სოსიკას შვილები: ბარამა - 30 წლის, სოლომონ - 25 წლის, დიმიტრი - 12 წლის, ახალშობილი, ალექსი - 5 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა - 2.

სულ: კომლი - 3. მამრნი - 15. მდედრნი - 4 (19 სული).

აღწერას ახლავს დამადასტურებელი მინაწერი, რომელსაც ხელს აწერს კონა ერისთავი. „ყოველნი სოფლის კუთვნილნი სახლობანი და მათ შორის სულნი ოცსა რიცხვსა შინა თებერვლისასა ჩყი-სა წელსა ამა სიასა შინა ჩვენებულნი არიან ჭეშმარიტად და გაშვებულნი არ არიან. ხოლო უკეთუ შემდეგ ამისა აღმოსჩნდეს შთამატებული რაიმე მაშინ ვიყვე პასუხის მგებელი საფუძველსა ზედა კანონთასა შედგენისათვის ამა აღწერისა, რომელზედაც ხელს ვაწერ თ˜ი კონა ერისთავი“. ზემო ბოლში დამკვიდრებულ მოსე ილურიძეს სოფლის ნაცვლის თანამდებობისთვისაც კი მიუღწევია (სეასცა, ფ. 254, ან. 2, საქმე 254, ფურ. 55-63).

1873 წლის კამერალური აღწერის დროს ილურთკარი ტფილისის გუბერნიის დუშეთის მაზრის მთის ნაწილის მეწყერის საზოგადოებას მიეკუთვნებოდა, მამულები და მათზე დასახლებული ყმები ეკუთვნოდათ თავად ესტატე ერისთავს, კნეინა მარიამ ჭავჭავაძესა და კნეინა მარიამ ერისთავს. წინა აღწერასთან შედარებით კომლების რაოდენობა 7-მდეა გაზრდილი.

სოფელ ილურთკარში თავად ესტატე ერისთავის მიწაზე მცხოვრები დროებით ვალდებული გლეხები:

კომლი 1. ალექსა გიორგის ძე ილურიძე - 17 წლის.

სულ ოჯახში 5 სულია: 1 მამრობითი და 4 მდედრობითი სქესის.

კნეინა მარიამ ჩავჩავაძის (ჭავჭავაძის - დ.ა.) მიწაზე მცხოვრები დროებით ვალდებული გლეხები:

კომლი 1 (2). დავით გაბრიელის ძე ილურიძე - 53 წლის, მისი შვილები: ლევან - 30 წლის, მათე - 23 წლის, პეტრე - 21 წლის.

შვილი ლევანისი ივანე - 1 წლის, ახალშობილი.

სულ ოჯახში 11 სულია: 5 მამრობითი და 6 მდედრობითი სქესის.

კომლი 2 (3). მალხაზ ნინიას ძე ილურიძე - 30 წლის, მისი ძმები: ზაქარა - 21 წლის, მათე - 19 წლის, ანდრია - 17 წლის.

სულ ოჯახში 5 სულია: 4 მამრობითი და 1 მდედრობითი სქესის.

კომლი 3 (4). სვიმონ გაბრიელის ძე ილურიძე - 43 წლის, მისი შვილი: სოსიკა - 5 წლის, ახალშობილი.

ძმა სვიმონისა ნიკალაი - 38 წლის.

სულ ოჯახში 5 სულია: 3 მამრობითი და 2 მდედრობითი სქესის.

კომლი 4 (5). ისაია გოგიას ძე ილურიძე - 53 წლის, მისი შვილები შიო - 20 წლის, მოსე - 18 წლის, ალექსა - 15 წლის, ყარამან - 8 წლის, ახალშობილი.

სულ ოჯახში 7 სულია: 5 მამრობითი და 2 მდედრობითი სქესის.

კნეინა მარიამ ერისთავის მიწაზე მცხოვრები დროებით ვალდებული გლეხები:

კომლი 1 (6). გაბრიელ გიორგის ძე ილურიძე - 53 წლის, მისი შვილები: ივანე - 15 წლის, მალხაზ - 6 წლის, ახალშობილი, თედო - 1 წლის, ახალშობილი.

ძმისწული გაბრიელისა სოსე ნინიას ძე - 27 წლის.

ძმები სოსესი: მოსე - 21 წლის, რაჟდენ - 18 წლის.

სულ ოჯახში 11 სულია: 7 მამრობითი და 4 მდედრობითი სქესის.

კომლი 2 (7). გიორგი გიორგის ძე ილურიძე - 35 წლის, მისი შვილი ივანე - 7 წლის, ახალშობილი.

სულ ოჯახში 5 სულია: 2 მამრობითი და 3 მდედრობითი სქესის.

სრულებით დროებით ვალდებული გლეხები 7 კომლი: 27 მამრობითი და 21 მდედრობითი სქესის (48 სული). სულ ქართველები, მართლმადიდებელი ქრისტიანები.

ტექსტს ახლავს აღწერის დამადასტურებული მინაწერი: „ყველა ამ სიით ნაჩვენები კომლნი და სულნი, რომელნიც იყვნენ თვალად 15 აგვისტოს 1873 წლისა, ნაჩვენებნი არიან სისწორით და გაშვებული არავინ არის. გარნა თუ აღმოჩნდეს, მაშინ უნდა შევარდეთ პასუხის გებაში საფუძველზედ კანონებისა წარმოებისათვის აწინდელის კამერალნის აღწერისა, რომელსაზედაც ხელს ვაწერთ პეტრე შარმადინი, ზაზა ავლოხაშვილი, გარსი ქოქაშვილი და ტატო ქარქუსაშვილი. რადგან ამათ წერა არ იცოდნენ, ამათის თხოვნით, მათ მაგიერ და ჩემ მაგიერ ხელს ვაწერ ტატო ქარქუსაშვილი. მეწყერის საზოგადოების მამასახლისი ზაქარია ბუთხუზი.“ დამოწმებულია მამასახლისის ბეჭდით. (სეასცა, ფ. 254 ან. 2, საქმე 233. ფურ. 1-6; სეასცა, ფ. 254 ან. 2, საქმე 258. ფურ. 631-635).

აღსანიშნავია ისიც, რომ დუშეთის მაზრის სოფელ ბაზალეთის თანადროულ აღწერაში მოხსენიებულნი არიან გაბრიელ იოსების ძე ილურიძე, ზაქარია გრიგოლის ძე ილურიძე და სოლომან სოსიას ძე დორეული. ისინი, სავარაუდოდ, ჭურთის ხეობიდან უნდა იყვნენ მიგრირებულნი.

1886 წლის საოჯახო სიების მიხედვით, დუშეთის მაზრის მეწყერის საზოგადოებაში შემავალი ილურთკარის მოსახლეობა 8 კომლს შეადგენს. წყაროში საუბარია მამაკაცებზეც და ქალებზეც, მათ ეთნიკურ წარმომავლობაზე, რელიგიურ კუთვნილებაზე... აღწერაში მამრობითი სქესის წარმომადგენლებს სამი ასაკი აქვთ მითითებული: 1. აღნიშნავს წლოვანებას წინა 1873 წლის აღწერის მიხედვით; 2. „ვარაუდით, ასე შეხედვით რამდენის წლისა არის“; 3. „წლოვანობა, რამდენისა არის 1 იანვარს, 1886 წლისა“.

სოფელი ილურთკარი

კომლი 1. ილურიძე ალექსი გიორგის ძე - ასაკი მითითებული არ არის,

სულ ოჯახში 1 სულია, მამრობითი სქესის.

კომლი 2. ილურიძე ლევან დავითის ძე - 30 წლის, 43 წლის, 42 წლის, მისი შვილები: ივანე - 1 წლის, 14 წლის, 13 წლის, პავლე - დაბადებული არ იყო, 12 წლის, 11 ½ წლის, დავით - დაბადებული არ იყო, 3 წლის, 2 ½ წლის, გრიგორი - დაბადებული არ იყო, 2 თვის.

ლევანის ძმები: მათე - 23 წლის, 36 წლის, 35 წლის, პეტრე - 21 წლის, 20 წლის, 19 წლის.

მათეს შვილი მიხეილ - დაბადებული არ იყო, 2 წლის, 1 ½ წლის.

ლევანის მეუღლე მაგდანა - 35 წლის.

მათეს მეუღლე მაიკო - 20 წლის, მათეს ქალიშვილი თინა - 5 წლის.

პეტრეს მეუღლე მარიამი - 17 წლის.

სულ ოჯახში 12 სულია: 8 მამრობითი და 4 მდედრობითი სქესის.

კომლი 3. ილურიძე მალხაზ ნინიას ძე - 30 წლის, 43 წლის, 42 წლის, მისი ძმები: ზაქარია - 21 წლის, 34 წლის, 33 ½ წლის, გიორგი - ასაკი მითითებული არ არის, 32 წლის, 31 წლის.

ზაქარიას შვილი ვანო - დაბადებული არ იყო, 10 წლის, 9 ½ წლის. ზაქარიას მეუღლე ნინო - 19 წლის.

სულ ოჯახში 5 სულია: 4 მამრობითი და 1 მდედრობითი სქესის.

კომლი 4. ილურიძე მათე ნინიას ძე - 19 წლის, 32 წლის, 31 წლის, მათეს მეუღლე სალომე - 29 წლის.

სულ ოჯახში 2 სულია: 1 მამრობითი და 1 მდედრობითი სქესის.

კომლი 5. ილურიძე სიმონ გაბრიელის ძე - 43 წლის, 55 წლის, 54 წლის, მისი შვილი სოსიკა - 5 წლის, 16 წლის, 15 ½ წლის, სიმონის მეუღლე თინათინი - 40 წლის,

მათი ქალიშვილი ნინო - 14 წლის.

სულ ოჯახში 4 სულია: 2 მამრობითი და 2 მდედრობითი სქესის.

კომლი 6. ილურიძე გაბრიელ გიორგის ძე - 53 წლის, 66 წლის, 65 წლის, მისი შვილები: ტატე - 15 წლის, 28 წლის, 27 ½ წლის, მალხაზ - 6 წლის, 19 წლის, 18 ½ წლის, თედო - 1 წლის, 14 წლის, 13 ½ წლის, მიხა - დაბადებული არ იყო, 10 წლის, 9 ½ წლის, ნიკოლოზ - დაბადებული არ იყო, 8 წლის, 7 ½ წლის, ბესო - დაბადებული არ იყო, 3 წლის, 2 ½ წლის.

გაბრიელის ძმიშვილი სოსე ნინიას ძე - 27 წლის, 40 წლის, 39 ½ წლის, მისი ძმები: მოსე - 21 წლის, 34 წლის, 33 წლის, რაჟდენ - 18 წლის, 31 წლის, 32 წლის.

მოსეს შვილები: ივანე - დაბადებული არ იყო, 7 წლის, 6 ½ წლის, კონსტანტინე - დაბადებული არ იყო, 4 წლის, 3 ½ წლის.

გაბრიელის მეუღლე საბედა - 52 წლის, მათი ქალიშვილი მაშო - 12 წლის.

მოსეს მეუღლე ეკატერინა – 25 წლის.

მოსეს დედა თამარი - 60 წლის.

სულ ოჯახში 16 სულია: 12 მამრობითი და 4 მდედრობითი სქესის.

კომლი 7. ილურიძე შიო ისაიას ძე - 20 წლის, 33 წლის, 32 წლის, მისი შვილი შაქრო - დაბადებული არ იყო, 7 წლის, 6 ½ წლის.

მისი ძმები: მოსე - 18 წლის, 31 წლის, 30 წლის, ლექსო - 15 წლის, 28 წლის, 27 წლის, ყარამან - 8 წლის, 21 წლის, 20 ½ წლის.

შიოს ქალიშვილი ლიზა - 3 წლის.

სულ ოჯახში 6 სულია: 5 მამრობითი და 1 მდედრობითი სქესის.

კომლი 8. ილურიძე გიორგი გიორგის ძე - 35 წლის, 48 წლის, 47 წლის, მისი შვილი ივანე - 7 წლის, 20 წლის, 19 წლის.

გიორგის ქალიშვილი ნატო - 3 წლის.

სულ ოჯახში 3 სულია: 2 მამრობითი და 1 მდედრობითი სქესის.

სულ სოფელ ილურთკარში ცხოვრობს 36 მამაკაცი და 15 ქალი (51 სული). ქართველები. მართლმადიდებელი ქრისტიანები (სეასცა, ფ. 254 ან. 3, საქმე 1804, ფურ. 1-7).

სრულიად საქართველოს 1923 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მონაცემებით, ილურთკარში 10 კომლი ცხოვრობდა, 35 მამაკაცი და 24 ქალი (59 სული) (საქართველოს 1923 წლის აღწერის ჯამები, 1926: 168). 1939 საკავშირო აღწერის მიხედვით, ჭურთის სასოფლო საბჭოში შემავალ სოფლებს შორის ილურთკარი აღარ გვხვდება, სოფლის სახელწოდებად უკვე ლევანაანია მითითებული, სადაც 32 მამაკაცი და 26 ქალი ცხოვრობდა (სულ: 58 სული), სხვაობა 1923 წლის ილურთკარის მოსახლეობასთან, უმნიშვნელოა. 1959 წლის აღწერით ლევანაანში მხოლოდ 37 მოსახლე იყო, როგორც ჩანს, ამ დროისთვის ილურიძეების სამკვიდროდან მიგრაცია უკვე მასიურ ხასიათს იღებდა. 1970 წელს ჭურთის ხეობის სოფლები უკვე დორეთკრის სასოფლო საბჭოს ექვემდებარებოდა, ლევანაანში იმ დროს მხოლოდ 3 მამაკაცი და 2 ქალი იყო, ეროვნების გრაფაში მათ ოსები უწერიათ. ამ დროისთვის ცალკეა აღწერილი აბრამიანი, სადაც 2 მამაკაცი და 5 ქალია (სულ: 7 სული). აბრამიანში მცხოვრებ ილურიძეებს, ლევანაანთაგან განსხვავებით, ქართველებად წერენ. ოსებში არიან მითვლილი მეწყერში მცხოვრები ილურიძეებიც. 1979 წლის აღწერაში კი ილურიძეების არცერთი სოფელი აღარაა, არც ლევანაანი, არც აბრამიანი და არც მეწყერი, სამივე უკვე ნასოფლარია (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020). ჩნდება კითხვა, რამ გამოიწვია ილურიძეების მიჩნევა ოსებად, როცა მთელი წინა საუკუნეების მანძილზე აღწერებში მითითებული იყო, რომ ისინი ქართველები იყვნენ... ამ მხრივ საყურადღებოა რ. თოფჩიშვილის დასკვნა: „ილურიძე ერთ-ერთი ქართული გვარია ჭურთის ხეობაზე მოსახლე სხვადასხვა ოსურ გვარებს შორის. ცნობილია, რომ ქალი იშვიათად თხოვდება ბარიდან მთაში. ძირითადად პირიქით მოვლენას აქვს ხოლმე ადგილი. ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ილურიძეებიც. მათ ქვემოდან მოსახლე ქართველთაგან ზემოთ არავინ თხოვდებოდა. ილურიძეების ზემოთ კი ოსები მკვიდრობენ. XIX საუკუნეში ილურიძეებმა მასიურად დაიწყეს ოსის ქალებზე დაქორწინება. ქალმა კი, რომელიც ილურიძეთა ოჯახის დედა და რძალი იყო, ამ გვარში შემოიტანა ოსური ენა, ყოფა და რიგი წეს-ჩვეულებები. ილურიძეები დღეს ფაქტობრივად ორენოვანნი არიან“ (თოფჩიშვილი, 1987: 35). ჩვენი ინფორმატორის, ნასოფლარ ილურთკარის ერთ-ერთი ბოლო მკვიდრის, ლევანაანში მცხოვრები მერი ვასილის ასულ ილურიძის მონათხრობით,

ბოლოს სოფელში მათი და ჟოჟო ილურიძის ოჯახები ცხოვრობდნენ. უფრო ადრე სოფლიდან გადასახლებულან რამინ და სიკო ილურიძეების ოჯახები. „მეწყერშიც ჩვენი ილურიძეები იყვნენ და აბრამიანშიც. დორეთკარში სულ ოსები ცხოვრობდნენ, სკოლაც კი რუსული იყო, რვაწლიანი. ჩვენ ჩამოვსახლდით 1967 წელს. ქართული, დაწყებითი სკოლაც მაშინ გაიხსნა. იქამდე ჩემი უფროსი და-ძმა სკოლაში ქარჩოხში დადიოდნენ და მამიდასთან ცხოვრობდნენ. დორეთკარში ბავშვებმა ქართული ლაპარაკიც არ იცოდნენ. ჩვენ ქართული ვასწავლეთ, იმათ ოსური. დედაჩემიც და ბებიაჩემიც ოსები იყვნენ, მაგრამ ერთი სიტყვა ოსური არ ვიცოდით, სანამ მანდ არ ჩამოვსახლდით. არც მეწყრის და აბრამიანის ილურიძეებმა იცოდნენ ოსური. მამაჩემი ძალიან პატრიოტი კაცი იყო, ოსურად არასოდეს დაელაპარაკებოდა დედაჩემს. დედაჩემი დრიაევი გახლდათ, მაგრამ დაბადების მოწმობაში მას და მის უფროს ძმას მელაძე ეწერათ“ - ქალბატონი მერის ეს მონათხრობი, მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ გავითვალისწინოთ, როგორ უფრთხილდებოდნენ ჭურთის ხეობაში მცხოვრები ილურიძეები საკუთარ წარმომავლობასა და მშობლიურ ენას.

სამწუხაროდ, გასული საუკუნის 90-იან წლებში მძიმე ტრაგედია დაატყდა თავს დორეთკარში მცხოვრებ ვასილ ილურიძის ოჯახს. 1994 წლის 19 ივლისს თენგიზ (გაიოზ) ვასილის ძე ილურიძე ჩქუნეთის მთებში სათიბზე მყოფი გაიტაცეს ოსი ეროვნების ყაჩაღებმა. მასთან ერთად იმყოფებოდა სოფელში სტუმრად მყოფი ახალგორელი ჭიჭი ქისიევი. ერთი კვირის შემდეგ ოჯახმა წერილი მიიღო, სადაც გატაცებული იტყობინებოდა, რომ სოფლის საქონელი უნდა წაეყვანათ, ხელი შევუშალე და მერე ჩვენ წაგვიყვანესო... გამტაცებლები 30 მილიონ მანეთს ითხოვდნენ... თენგიზ ილურიძე ქართულ-ოსურ კონფლიქტს შეეწირა, სეპარატისტებმა იგი მანქანაში ჩაცხრილეს, მისი თანხმლები პირი, ეთნიკურად ოსი ქისიევი კი დაინდეს... ახალგაზრდა კაცს მეუღლე და სამი მცირეწლოვანი შვილი დარჩა...

...გარდა იმისა, რომ ილურიძეები დორეთკარში ჩამოსახლდნენ, ნაწილი ქართლისა და კახეთის ბარის რეგიონებში დამკვიდრდა. მეწყერში მცხოვრები ილურიძეების მემკვიდრედ თვლიან თავს ვილდაში დასახლებული ელიაურები, რომლებიც, ადგილობრივთა გადმოცემით, მიგრაციის მერეც ხშირად მიდიოდნენ მეწყერის ცეცხლიჯვარში სალოცავად.

სახელმწიფო სერვისების სააგენტოს 2016 წლის ინფორმაციით, ამჯერად ილურიძეები სულ 2074 ადამიანია, მათ შორის ყველაზე მეტი თბილისში ცხოვრობს - 808, შემდეგ კასპში - 395, გორში - 276, ახალგორში - 166, ქუთაისში - 3, ბათუმში - 5, რუსთავში - 73, ზუგდიდში - 1, გარდაბანში - 12, ქობულეთში - 1, ოზურგეთში - 8, ბოლნისში - 2, თელავში - 2, სოხუმში - 5, ზესტაფონში - 1, გურჯაანში - 4, ხაშურში - 2, საგარეჯოში - 16, სამტრედიაში - 7, საჩხერეში - 2, ქარელში - 3, მცხეთაში - 74, სენაკში - 1, თერჯოლაში - 1, ახმეტაში - 12, სიღნაღში - 13, ლანჩხუთში - 4, ოჩამჩირეში - 1, ყვარელში - 1, გულრიფშში - 2, დუშეთში - 58, ბორჯომში - 2, დედოფლისწყაროში - 57, ბაღდათში - 1, ტყიბულში - 4, თეთრიწყაროში - 8, ხარაგაულში - 2, აბაშაში - 1, გაგრაში - 4, ადიგენში - 4, თიანეთში - 12, ცაგერში - 1, ცხინვალში - 11, საზღვარგარეთ - 8 (კვაჭანტირაძე, 2017: 229).

2002 წლის მონაცემებით, დორეთკარში 36 მამაკაცი და 34 ქალი ცხოვრობდა (სულ: 70 სული) (საქართველოს მოსახლეობის... 2003: 119), ამათგან უმრავლესობა, ქართველები იყვნენ, ძირითადად ილურიძეები, აქვე დამკვიდრდნენ გავაზიდან მოსული კაჭიურები და მოჭალიეთიდან - შერმადინები...

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ახალგორში მცხოვრები ილურიძეები საკუთარი მიწა-წყლიდან იძულებით არიან გადაადგილებულნი და ლტოლვილთა სხვადასხვა დასახლებაში ცხოვრობენ.

დასკვნები:

ილურთკარი ახალგორის მუნიციპალიტეტის სოფელი იყო, რომლის ლოკალიზებაც მოგვიანო პერიოდის ნასოსფლარების ლევანაანისა და აბრამიანის ტერიტორიაზე ხდება.

სოფელ ილურთკარის მკვიდრი ილურიძეები ქსნის ხეობაში სამტრედიის სოფელ ილორიდან უნდა იყვნენ მოსულები.

ილურთკარის შესახებ პირველ ცნობებს XVIII საუკუნის 70-იანი წლებიდან ვხვდებით. იგი მოხსენიებულია გერმანელი მოგზაურის იოჰან (ანტონ) გიულდენშტედტის ჩანაწერებში. ამავე პერიოდის ქსნის საერისთავოს სტატისტიკური აღწერებიდან ჩანს, რომ ეს სოფელი ქსნის ერისთავებს ეკუთვნოდათ და გოგია ფიცხელაურის სამოურავო იყო.

XVIII-XX საუკუნეების დემოგრაფიული ნუსხებიდან ჩანს, რომ ილურთკარში მხოლოდ ილურიძეები ცხოვრობდნენ, ეთნიკური ქართველები და მართლმადიდებელი ქრისტიანები.

ჭურთის ხეობაში, ილურთკარის მეზობლად კიდევ ერთი სოფელი მეწყერია, რომელიც ილურიძეების სამკვიდრო იყო, გვარს რამდენიმე საერთო სალოცავი ჰქონდა, მათ შორის, ლევანაანის წმინდა გიორგი, სადაც ეჭეფობას აღნიშნავდნენ, აბრამიანის წმინდა გიორგი და მეწყერის ცეცხლიჯვრის ეკლესია.

ილურიძეების ძირითადი საქმიანობა მესაქონლეობა და მეცხვარეობა იყო, მისდევდნენ მეფუთკრეობასა და საკარმიდამო მიწათმოქმედებას.

მოსახლეობის აღწერებში ილურთკარი XX საუკუნის 30-იან წლებამდე იხსენიება, 1939 წლის საკავშირო აღწერაში უკვე ლევანაანის, შემდეგ პერიოდში კი ლევანაანისა და აბრამიანის სახელითაა ცნობილი.

1979 წლის აღწერიდან ირკვევა, რომ ილურიძეების სამკვიდრო უკვე ნასოფლარი იყო.

ილურიძეები მიგრირებულნი არიან ქართლისა და კახეთის ბარის სოფლებში, რამდენიმე კომლი დამკვიდრდა სოფელ დორეთკარში, რომელიც ილურთკართან ახლოს, ჭურთის ხეობაში მდებარეობს.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

ახუაშვილი, ი. (2005). *ქართული გვარ-სახელები, ტ. I,* თბილისი, გამომცემლობა „მესხეთი".

ბაგრატიონი, იოანე. (1986). *ქართლ-კახეთის აღწერა,* ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თინა ენუქიძემ და გურამ ბედოშვილმა, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება".

გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. (1962). გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გია გელაშვილმა, ტ., I, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

გორის ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმი (გსიემ). (1956). *ყოფილი ქსნის საერისთავოს მოსახლეობის აღწერა 1804 წ.,* №7486.

თაყაიშვილი, ე. (2022). *თხზულებანი, ტ. 12.* თბილისი, გამომცემლობა არტანუჯი.

დადიანიძე, ც. (2008). *ახალგორის მუნიციპალიტეტის არქიტექტურული მემკვიდრეობა, ტ. IV,* ცირა დადიანიძის რედაქციით, თბილისი.

თოფჩიშვილი, რ. (1987). *ქსნის ხეობის მოსახლეობის ზოგიერთი ეთნოისტორიული საკითხი (XVIII-XX სს.),* საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, თბილისი, №4.

ითონიშვილი, ვ. (1974). *ქართლის მთიელთა ყოფა-ცხოვრებიდან.* თბილისი. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო".

კეცხოველი, ნ. (1971). *მორბის არაგვი, არაგვიანი.* თბილისი.

კვაჭანტირაძე, კ. (2017). *ქართული და ქართულ-ებრაული გვარ-სახელები,* თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი".

კლიმიაშვილი, აკ. (2022). *მორიგე ლაშქარი, მასალები XVIII საუკუნის საქართველოს სამხედრო ისტორიისთვის,* თბილისი, გამომცემლობა „არტანუჯი".

მაკალათია, ს. (1968). *ქსნის ხეობა, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი.* თბილისი. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო".

მაისურაძე, ილ. (1990). *ქართული გვარსახელები (სალექსიკონო ბიბლიოგრაფიული მასალები),* თბილისი, საქინფორმკინო.

ორთოგრაფიული ლექსიკონი. (1987). საქართველოს სსრ გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი (სახელები). თბილისი. ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქცია.

საქართველოს მოსახლეობის... (2003). *2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები (საქართველოს სოფლების მოსახლეობა),* ტ. II, თბილისი.

საქართველოს 1923 წლის აღწერის ჯამები. (1926). *სრულიად საქართველოს 1923 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის ჯამები, ნაწილი II, დემოგრაფია,* ნაკვეთი I, ტფილისი.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2020). *მოსახლეობის სრულიად საკავშირო 1939, 1959, 1970, 1979 და 1989 წლების აღწერების შედეგები სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში.* საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020.

სეასცა, ფ. 254, ან. 1, საქმე 367. *საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 254, ანაწერი 1, საქმე 367.*

სეასცა, ფ. 254, ან. 1, საქმე 689. *საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 254, ანაწერი 1, საქმე 689.*

სეასცა, ფ. 254, ან. 1, საქმე 1247. *საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 254, ანაწერი 1, საქმე 1247.*

სეასცა, ფ. 254, ან. 2, საქმე 230 *საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 254, ანაწერი 2, საქმე 230.*

სეასცა, ფ. 254, ან. 2, საქმე 233 *საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 254, ანაწერი 2, საქმე 233.*

სეასცა, ფ. 254, ან. 2, საქმე 254. *საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 254, ანაწერი 2, საქმე 254.*

სეასცა, ფ. 254, ან. 2, საქმე 255. *საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 254, ანაწერი 2, საქმე 255.*

სეასცა, ფ. 254, ან. 2, საქმე 258. *საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 254, ანაწერი 2, საქმე 258.*

სეასცა, ფ. 254, ან. 3, საქმე 1799. *საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 254, ანაწერი 3, საქმე 1799.*

სეასცა, ფ. 254, ან. 3, საქმე 1804. *საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 254, ანაწერი 2, საქმე 1804.*

სომხიშვილი, ვ. (1981). *ქსნის ხეობის ქართლური, ლექსიკა, ტოპონიმიკა (მასალები), ტექსტები.* ცხინვალი.

სულხან-საბა ორბელიანი. (1993). *ლექსიკონი ქართული, II.* თბილისი. გამომცემლობა „მერანი".

ჯავახიშვილი, ივ. (1967). *საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, წიგნი 1, დემოგრაფიული ძეგლები, აღმოსავლეთ საქართველოს XVIII საუკუნის ხალხის აღწერის დავთრები,* თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება".

ჯაფარიძე, გ. (1978). *დღიური.* ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 3, თბილისი.

Акты. (1868). *собранные Кавказской археографической комиссией: Том II.* Тифлис.

REFERENCES

akhuashvili, l. (2005). *kartuli gvar-sakhelebi [Georgian Surnames and Names],* vol. l, Tbilisi: publishing house, "Meskheti".

bagrationi, ioane. (1986). *kartl-kaxetis agwera [The description of Kartl-kakheti],* teksti gamosacemad moamzades, gamokvleva da sadzieblebi daurtes tina enukidzem da guram bedoshvilma [The text was prepared for publication, research and references were added by Tina Enukidze and Guram Bedoshvili]. Tbilisi: "Metsniereba".

guldenstedtis mogzauroba sakartveloshi [Guldenstedt's trip to Georgia]. (1962). germanuli teksti kartuli targmaniturt gamosca da gamokvleva daurto gia gelashvilma [The German text was published with a georgian translation and research was added by Gia Gelashvili]. I. Tbilisi.

goris istoriul-etnograpiuli muzeumi (gsiem) [Gori historical-ethnographical museum]. (1956). *kofili ksnis saeristavos mosakhleobis agwera 1804 w. [Population census of former Ksani saeristavo in 1804]. №7486.*

dadianidze, ts. (2008). *akhalgoris municipalitetis arqiteqturuli memkvidreoba [Architectural heritage of akhalgori municipality], IV,* cira dadianidzis redakciit [Edited by Tsira Dadianidze]. Tbilisi.

takaishvili, e. (2022). tkhzulebani [works], t. 12. Tbilisi: publishing house, „Artanuji“

topchishvili, r. (1987). ksnis kheobis mosakhleobis zogierti etnoistorili sakitkhi *(XVIII-XX სს.) [Ethnohistorical issue related to some of the population of ksani valley (XVlll-XXI)],* sakartvelos ssr metsnierebata akademiis macne, istoriis, arkeologiis, etnografiis da khelovnebis istoriis seria [Bulletin of the georgia's ssr academy of science, series of history of archeology, ethnography and art], Tbilisi: №4.

totals of the census of Georgia in 1923. (1926). *sruliad sakartvelos 1923 tslis sasoplo-sameurneo aghtseris jamebi, natsili ll, demograpia, nakveti I [Totals of agricultural census of whole georgia in 1923. part ll, demography, plot l].* Tbilisi.

itonishvili, v. (1974) *kartlis mtielta kofa-tskhovrebid [Anfrom the life of the mountaineers of kartli].* Tbilisi: „Soviet Georgia“ publishing house.

ketskhoveli, n. (1971). morbis aragvi, aragviani [Aragvi is running aragviani]. Tbilisi.

kvachantiradze, k. (2017). *kartuli da kartul ebrauli gvar-sakhelebi [Georgian and georgian- hebrew surnames],* Tbilisi: "Meridian".

klimiashvili ak. (2022). *morige lashkari, masalebi XVIII saukunis sakartvelos samkhedro istoriistviis [materials for the militaru history of eastern georgia I the second partoh the 18 th century „morige lashkari (the on-dity army*], Tbilisi: publishing house, „Artanuji“

makalatia, s. (1968). *ksnis kheoba, istoriul-etnografiuli narkvevi [Ksani valley, historical-ethnographic essay].* Tbilisi.

maisuradze, il. (1990). *kartul gvar-sakhelebi (saleksikono bibliograpiuli masalebi) [Georgian surnames and names (lexicon- bibliographic materials],* Tbilisi, sakinformkion.

national statistical service of georgia. (2020). *mosakhleobis sruliad sakavshiro 1939, 1959, 1970, 1979 da 1989 aghtserebis shedegebi samkhret osetis avtonomiur olkshi [The census results of the whole unity of population in 1939, 1959, 1970, 1979 and 1970 years, in south ossetia autonomous district].* sakartvelos statistikis erovnuli samsakhuri [National statistical service of Georgia], 2020.

sakartvelos mosakhleobis... [The population of georgia...] (2003). *2002 wlis pirveli erovnuli sakoveltao agweris dziritadi shedegebi (sakartvelos soflebis mosakhleoba) [The main results of the first national general census of 2002 (Population of the Villages of Georgia)], II,* Tbilisi.

seasca, f. 254, ins. 1, case 367. *sakartvelos erovnuli arqivi, centraluri saistorio arqivi, fondi 254, anatseri 1, saqme 367 [National archives of Georgia, historikal central Archive, fund 254, ins. 1, case 367].*

seasca, f. 254, ins. 1, case 689. *sakartvelos erovnuli arqivi, centraluri saistorio arqivi, fondi 254, anatseri 1, saqme 689 [National archives of Georgia, historikal centralArchive, fund 254, ins. 1, case 689].*

seasca, f. 254, ins. 1, case 1247. *sakartvelos erovnuli arqivi, centraluri saistorio arqivi, fondi 254, anatseri 1, saqme 1247 [National archives of Georgia, historikal central archive, fund 254, ins. 1, case 689].*

seasca, f. 254, Ins. 2, Case 230. *sakartvelos erovnuli arqivi, centraluri saistorio arqivi, fondi 254, anatseri 2, saqme 230 [National archives of Georgia, historikal central archive, fund 254, Ins. 2, case 230].*

seasca, f. 254, ins. 2, case 233. *sakartvelos erovnuli arqivi, centraluri saistorio arqivi, fondi 254, anatseri 2, saqme 233 [Gational archives of Georgia, historikal central archive, fund 254, ins. 2, case 233].*

seasca, f. 254, ins. 2, case 254. *sakartvelos erovnuli arqivi, centraluri saistorio arqivi, fondi 254, anatseri 2, saqme 254 [National archives of Georgia, historikal central archive, fund 254, ins. 2, case 254].*

seasca, f. 254, ins. 2, case 255. *sakartvelos erovnuli arqivi, centraluri saistorio arqivi, fondi 254, anatseri 2, saqme 255 [National archives of Georgia, historikal central archive, fund 254, ins. 2, case 255].*

seasca, f. 254, ins. 2, case 258. *sakartvelos erovnuli arqivi, centraluri saistorio arqivi, fondi 254, anatseri 2, saqme 258 [National archives of Georgia, historikal central archive, fund 254, ins. 2, case 258].*

seasca, f. 254, ins. 3, case 1799. *National archives of Georgia, historikal central archive, fund 254, ins. 3, case 1799.*

seasca, f. 254, ins. 3, case 1804. *National archives of Georgia, historikal central archive, fund 254, ins. 3, case 1804.*

somkhishvili, v. (1981). *ksnis kheobis kartluri, leksika, toponimebi (masalebi), teqstebi. [kartluri of Ksni valley, vocabulary, toponymy (materials), texts].* Tskhinvali.

spelling dictionary. (1987). *sakartvelos ssr geografiuli sakhelebis ortografiuli leksikoni (sakhelebi). [orthographic dictionary of geographical names of the georgian ssr (names)].* Tbilisi: The main scientific editor of the georgian soviet encyclopedia.

sulkhan-saba orbeliani. (1993). *leksikoni kartuli, II. [Georgian dictionary, II].* Tbilisi: "Meran" publishing house.

javakhishvili, Iv. (1967). *sakartvelos ekonomiuri istoriis dzeglebi [Monuments of economic history of georgia], 1, demograpiuli dzeglebi [demographic monuments] XVIII.* Tbilisi: Metsniereba

japaridze, g. (1978). *Dghiuri. Kartuli sabchota enciklopedia, t. 3. [diary. Georgian soviet encyclopedia, vol. 3],* Tbilisi.

акты. (1868). *собранные Кавказской археографической комиссией: том II. [collected by the caucasian archaeographic commission. vol.II]* Тифлис.